საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/3758
22/07/2022

3758-21-2-202207221049

სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“
მის: ქ. თბილისი, ზურაბ ანჯაფარიძის ქუჩა №19
ელ. ფოსტა: mariam.mchedlishvili@energo-pro.ge

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №2604 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება დასავლეთ საქართველოს ცენტრალური ფილიალის მაღალი ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზებისა და ქვესადგურების ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას (ეგხ „ჩოლურის“ ექსპლუატაციის პირობების ცვლილება).

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და მოცემული უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- წარმოდგენილი უნდა იყოს საპროექტო საყრდენების განთავსების GPS კოორდინატები;
- დოკუმენტში მოცემულია ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია, კერძოდ, „დაგეგმილი საქმიანობის აღწერაში“ მითითებულია, რომ ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებულია **1 ცალი (№19) საყრდენის მონტაჟი მეწყერული ზონის გარეთ, ახალ უსაფრთხო ადგილზე**, არსებული ელექტროგადამცემი ხაზის ბუფერში. „ელექტროგადამცემი ხაზის საპროექტო მახასიათებლებში“ აღნიშნულია, რომ **4 ცალი (№4; №19; №65-66) საყრდენის დაყენება მოხდება მეწყრული ზონისა და მდინარის რეცხვითი მოვლენების ზონის გარეთ, ახალ უსაფრთხო ადგილებზე**. ამასთან, „ელექტროგადამცემი ხაზის დერეფნის და საყრდენების ადგილმდებარეობის“ თავში მითითებულია, რომ **№65-66 მონტაჟი დაგეგმილია ძველი საყრდენების ადგილას**, ხოლო **№4 საყრდენის განთავსება გათვალისწინებულია წაქცეული საყრდენის ნაცვლად**. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაზუსტებას საჭიროებს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული ღონისძიებები და იმ საყრდენების რაოდენობის და განთავსების ადგილის შესახებ ინფორმაცია, რომელთა ადგილმდებარეობის ცვლილებაც გათვალისწინებულია აღნიშნული ცვლილებით;

- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს საპროექტო დერეფნის არეალში საშიში გეოლოგიური პროცესების არსებული მდგომარეობის და დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით, მათი შესაძლო გააქტიურების შესახებ ინფორმაცია;
- დოკუმენტის თანახმად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში შესაძლებელია საჭირო გახდეს საყრდენებთან არსებული ხე-მცენარეების მოჭრა. დაზუსტებას საჭიროებს ჭრას დაქვემდებარებული ხე-მცენარეების შესახებ ინფორმაცია (სახეობებისა და რაოდენობების მითითებით);
- სკრინინგის განცხადებაში აღწერილი უნდა იყოს დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოები და გამოყენებული ტექნიკა (ტიპებისა და რაოდენობების მითითებით);
- დაზუსტებას საჭიროებს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში მოსახსნელი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოცულობის, დროებით განთავსებისა და შემდგომი გამოყენების შესახებ ინფორმაცია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო